



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

დასკვნა
28.05.2020.

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	საჯარო მმართველობის მაგისტრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მაჭარაშვილი , GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია (ოქმი #1, გადაწყვეტილება #4, 20.01.2015) და წარდგენილია რეაკედიტაციისთვის შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ. პროგრამის კრედიტების რაოდენობაა - 120. სწავლების ენა - ქართული. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვრება 85 სტუდენტით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 10 აპრილს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 1 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუერების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სამი წევრის შემადგენლობით ამა წლის 10 აპრილს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, რომლის ადმინისტრირებაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. უმაღლესმა დაწესებულებამ და პროგრამის ხელმძღვანელებმა დამატებით მოგვაწოდეს კომისიის მიერ შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომების ელექტრონული ვერსიები, ასევე ბიბლიოთეკაში დაცული ელ-წიგნები, რომელიც სხვადასხვა სილაბუსიდან შეირჩა. უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია ვიზიტის წინა დღეს წარმოადგინა.

დისტანციურ რეჟიმში კომისიამ მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 19.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და სკოლის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წამომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს.

დისტანციურ რეჟიმში ვიზიტის ფარგლებში, ცხადია, ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები

და ა.შ) დათვალაიერება. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში მოხდა ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალაიერება და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებს (1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები).

რეკომენდაციები

- გაიმიჯნოს საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება და სტუდენტებისათვის გაწერილი იყოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია და შესაბამისი მოთხოვნები.

რჩევები

- სასურველია, რომ თვითშეფასების დოკუმენტში, ისევე როგორც ნებისმიერი, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით გავრცელებულ საკომუნიკაციო მასალაში, ცხადად იყოს განსაზღვრული, რომ ინგლისური ენის ბ2 დონეზე ცოდნა პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა.
- პროგრამის ინტერდისციპლინური და მრავალფეროვანი კურსების დონეზე წარმოდგენის მიუხედავად სასურველია, რომ მისი სექტორული პერსპექტივა გაცილებით მეტად გაიშალოს და საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სექტორის პოლიტიკების ადმინისტრირების დონეზე იქნეს გამდიდრებული.
- მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს შორის კურსების ინტეგრირება საუკეთესო პრაქტიკად იქნა აღიარებული, სასურველია, რომ ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის საგნებზე დარეგისტრირებული საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტების ინტერესებიც აქტიურად იყოს გათვალისწინებული და მსგავსი კურსების შემთხვევაში საჯარო სექტორის მენეჯმენტის სპეციფიკა უფრო მეტად იყოს გამოკვეთილი. საჯარო სექტორზე ბიზნესზე ორიენტირებული მოდელირების აქტიური გავრცელების მიუხედავად, თემატიკის შევსება საჯარო სექტორის პერსპექტივით, საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტებისთვის აუცილებელია. აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ამ თვალსაზრისით დამატებით გამოყენებულია ცალკეული შემთხვევების ანალიზის პრაქტიკა. თუმცა, სასურველია, რომ ეს ასპექტი ყველა იმ კურსის შემთხვევაში იქნეს მხედველობაში მიღებული, რომელიც ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამის ნაწილია.

- სასურველია საჯარო მმართველობის პროგრამის სტრუქტურაში ტერმინის „ბლოკი“, გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონმდებლობით (69ნ ბრძანება, მინისტრის მე-3 ბრძანება) ტერმინი „ბლოკი“ აღარ გამოიყენება, აცილებული იყოს.
- სასურველია, რომ სილაბუსებში, სადაც კურსის კურატორის სახელია მხოლოდ ასახული, დაფიქსირდეს კურსის უშუალო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, რათა არ დაირღვეს საავტორო უფლებები და მოხდეს იმ ადამიანური რესურსის იდენტიფიცირება, რომელიც კურსის უშუალო განხორციელებაში იღებს მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ნაწილს აქვს ამ თვალსაზრისით ნაკლი, სასურველია, რომ ეს პრაქტიკა აქტიურად დამკვიდრდეს და ელექტრონული ბაზების მიღმა, თავად სილაბუსშივე აისახოს ლექტორების ვინაობა.
- სასურველია, რომ საჯარო პროექტების მონიტორინგისა და შეფასების კურსის ფარგლებში მოხდეს გავლენის ექსპერიმენტული და ქვაზი-ექსპერიმენტული მოდელების ინტეგრირება.
- სასურველია, რომ საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის ფარგლებში მოხდეს 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #629 დადგენილებით „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ საფუძველზე დამტკიცებული სახელმძღვანელო და შესაბამისი დანართები. მიუხედავად იმისა, რომ რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამაში ეს ნაკლებად იქნებოდა ასახული, სასურველია, რომ ეს რჩევა მომავლისთვის იყოს გათვალისწინებული.
- კურიკულუმს მიღმა მაგისტრატურის სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა დანერგოს სამაგისტრო სტიპენდია, რომლის მოპოვებაც დამოკიდებული იქნება, როგორც აკადემიურ მიღწევებზე, ასევე კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობაზე (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება და ა.შ.);
- სასურველია საჯარო მმართველოს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს კურიკულუმში გაწერილი პრაქტიკული კურსის მიზნებისა და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ;
- სასურველია პროგრამის კურიკულუმს ცალკე, უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე დაემატოს სამაგისტრო კვლევის დიზაინის კურსი.
- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. აქვე, მნიშვნელოვანია გაცილებით მკაცრად კონტროლდებოდეს ერთიანი სტანდარტის დაცვაც ამ პროცესში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული ერთეულების მიერ.
- სასურველია, რომ ინფორმაცია პროფესიული განვითარების ხელშემწყობი დაფინანსების სქემების შესახებ უფრო აქტიურად იქნას გაზიარებული დაინტერესებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის.
- სასურველია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს შორის შეხვედრები მეტი სიხშირით წარიმართოს და კარგი იქნებოდა პროგრამის ადმინისტრაციას ამ მიმართულებით მუშაობა გაემდიერებინა, რადგან პროგრამაში ჩართული პერსონალის ხშირი შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნებისათვის უკეთ წარმართავს პროცესს და პროგრამის წინაშე სწავლების პროცესის გადასახედიდან მდგარ საკითხებს უფრო მრავალმხრივი კუთხით წარმოაჩენს.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ცენტრი, რომელიც დამსაქმებელთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების წინსვლისა და შემდგომი განვითარების საფუძველს ქმნის.
 - პროგრამის მრავალფეროვნება და ინტერდისციპლინური ხასიათი საუკეთესო პრაქტიკის სახით უნდა აღინიშნოს. აქვე, ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელთა მცდელობა მომავალში პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის მოსაპოვებლად.
 - საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს სკოლებს შორის კურსების დაინტეგრირების მცდელობები და შესაბამისი ფინანსური გაცვლის სისტემების არსებობა.
 - გასათვალისწინებელია პროგრამის ხელმძღვანელთა მცდელობა კვლევითი პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, სკოლის ფარგლებში, სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების მიმართულების გააქტიურების მიზნით 2019 წლიდან ამოქმედდა ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი (Research Center for Administrative Sciences - RCAS), რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო მმართველობის და ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით ადმინისტრაციული და გამოყენებითი კვლევების წარმოება, სტუდენტების კვლევით დაინტერესება და მათი მაქსიმალური ჩართულობის წახალისებაა.
 - საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს პროგრამის ხელმძღვანელთა მცდელობა მოახდინონ სილაბუსებში დღემდევარსებული უნიფიცირებული შეფასების სისტემის შეცვლა და თითოეული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმების განსაზღვრა. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს პროცესი მომავალშიც გავრცელდება და ყველა კურსში აისახება.
 - დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები ინდივიდუალურად ხვდებიან ყველა სტუდენტს საორიენტაციო აკადემიური გეგმის შესადგენად.
 - სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით ხელმძღვანელობა სახეზეა და იკვეთება საჯარო მმართველობის პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას სტუდენტზე ორიენტირებულ მომსახურეობის მაღალ ხარისხს, საუნივერსიტეტო გადასახადის ათ ნაწილად გაყოფის პრაქტიკას, კონსულტირებისა და მხარდაჭერის ინსტრუმენტებსა და შესაბამისი ადამიანური რესურსების (სწავლების მენეჯერის და ასისტენტების) უზრუნველყოფას.
 - უნივერსიტეტში დანერგილი “სამეცნიერო ოთხშაბათები”, რაც სამეცნიერო პუბლიკაციებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე უახლესი კვლევების შესახებ სფეროში მოღვაწე მეცნიერების, პრაქტიკოსებისა და საზოგადოების ფართო წრეების ინფორმირებას ითვალისწინებს არსებითად უნდა ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად.
 - უნივერსიტეტმა ადვილად გამოიწვია გამოსავალი დღევანდელი გამოწვევის საპასუხოდ და სტუდენტებს სთავაზობს იმ წიგნების შესაბამისი თავების დასკანერებული ელექტრონული ფაილების გადაგზავნას, რაც მათ სჭირდებათ სასწავლო პროცესისა და შესაბამისი კვლევების შეუფერხებლად მიმდინარეობისათვის, რაც უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის ძალიან კარგი განვითარების ტენდენციად.
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციებს, რომლის მიღწევისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული. საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია დემოკრატიული აზროვნების, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველების მომზადება, ახალი საჯარო ლიდერების გამოვლენა და წარმოჩენა, რომლებსაც პოლიტიკის ცვლილების, ღია მმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით და ახალი ხედვებისა თუ ტრანსფორმაციული ცვლილებების გზით შექმნება წვლილი შეიტანონ საქართველოს საჯარო მმართველობის არსებული სისტემის გაუმჯობესების პროცესში.
- ჩამოთვლილი მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. ჩამოთვლილი მიზნები რეალისტურია და პროგრამის განხორციელების მიზნით აკუმულირებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
- პროგრამის კონცეფცია ეფუძნება საჯარო მმართველობის სწავლების საერთაშორისო პრაქტიკას. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, ის წარმოდგენს საჯარო ადმინისტრირების კლასიკურ კურიკულუმს და შედგენილია საერთაშორისო გამოცდილებისა და საჯარო სექტორში დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნის ფართო არეალის გათვალისწინებით. პროგრამა მოიცავს საჯარო ადმინისტრირების სამივე განზომილებას - მენეჯერულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებს, ფოკუსირებულია საჯარო მმართველობის მენეჯერულ კონტექსტზე - სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტებზე და ყურადღება ეთმობა საქართველოში უახლეს და მიმდინარე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეალობას, რეფორმებს, შესაბამისი გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას. შესაბამისად, პროგრამის ინსტერდისციპლინური ხასიათი იმთავითვე ცხადი ხდება.
- პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესი დაეფუძნა სტუდენტთა გამოკითხვებს, პროფესორ-მასწავლებელთა აქტიური ჩართულობას, შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და პროგრამის ხელმძღვანელობის მისწრაფებას, რომ 2018 წელს NISPAcee-ის ინსტიტუციური წევრის სტატუსის მოპოვების შემდეგ, უახლოეს მომავალში

<p>წარადგინოს პროგრამა "საჯარო ადმინისტრირების ევროპული სააკრედიტაციო ასოციაციის" EAPAA-ის (EuropeanassociationforPublicAdministrationAccreditation) აკრედიტაციის პირველი საფეხურის - "შესაბამისობის" (Aligibility) სტატუსის მოსაპოვებლად. როგორც ინტერვიებიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან იკვეთება, ამ მიზნით აქტიურად იქნა გამოყენებული წინა აკრედიტაციის პირობებში მიღებული რჩევები და რეკომენდაციები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - საქართველოს უნივერსიტეტის მისია; ○ საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020 წწ) სამოქმედო გეგმა
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ცენტრი, რომელიც დამსაქმებელთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების წინსვლისა და შემდგომი განვითარების საფუძველს ქმნის.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> ვთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს, რა ტიპის ცოდნას და უნარებს შეიძენს მაგისტრი სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს გაწერილი შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. თანადროულად, საგნების დონეზე ამ შედეგების მიღწევადობა რეალისტურადაა აღწერილი და ასახულია შედეგების მატრიცაში. <input type="checkbox"/> პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რა მიზნითაც პროგრამის ხელმძღვანელობა პერიოდულად ატარებს დამსაქმებლებთან გამოკითხვას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას,

ვინაიდან ოეინტირებული დარგის შესაბამისი სიღრმისეული ცოდნის, პრაქტიული უნარებისა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის აქტიურ ათვისებაზე.

უსდ-ს აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გამართული პროცესი. როგორც პირდაპირი (გამოკითხვა, დისკუსია, პრეზენტაცია, შუალედური და ფინალური გამოცდები), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეფასების მეთოდებით. უსდ იყენებს კითხვარებს სასწავლო კურსის შეფასებისთვის, კურსდამთავრებულთათვის, დამსაქმებლისთვის. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. გამოკითხვის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების სახით. სწავლის შედეგების შეფასებების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებით უსდ-ს ადმინისტრაციასთან, სტუდენტთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის ანგარიში
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
- პროგრამის შედეგების მატრიცა
- პროგრამული ცვლილებების ოქმი
- ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუქცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები	✓			

დამათთანპროგრამის შესაბამისობა				
--------------------------------	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის გამჭვირვალე. საბაკალავრო პროგრამაში მისაღებ კანდიდატებთან მიმართებაში მიღების მოთხოვნები არის საჯარო. სამაგისტრო პროგრამის დასაწყებად უნივერსიტეტს გააჩნია მიზანი მაქსიმალურად უზრუნველყოს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ინფორმაციით პროგრამის შესახებ. <input type="checkbox"/> თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში (წერთი) და სპეციალობაში (ზეპირი) გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ, ადმინისტრაციული რეგისტრაციის და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. ამ ჩანაწერის საპირისპიროდ, დისტანციური ვიზიტის დროს, დადგინდა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღება აუცილებელი პირობის სახით ითვალისწინებს ინგლისური ენის ცოდნას ბ2 დონეზე. თუმცა, თვითშეფასების დოკუმენტში ცხადად არ ჩანს საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების შემთხვევაში რა სახით და რამდენად სავალდებულო ფორმით გამოიყენება ინგლისური ენა. შესაბამისად, საჭირო ხდება გაცილებით, მეტი სიცხადის უზრუნველყოფა მიღების წინაპირობების ჩამონათვალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა <input type="checkbox"/> ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია www.ug.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სასურველია, რომ თვითშეფასების დოკუმენტში, ისევე როგორც ნებისმიერი, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით გავრცელებულ საკომუნიკაციო

მასალაში, ცხადად იყოს განსაზღვრული, რომ ინგლისური ენის ბ2 დონეზე ცოდნა პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საერთო ჯამში, პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტი მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. <input type="checkbox"/> სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში მთავარი პასუხისმგებელი ორგანოები არიან უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, აკადემიური მენეჯერი, კარიერის სამსახური და ა.შ.), პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები. <input type="checkbox"/> როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ხაზგასმული, საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი კომპონენტები განაწილებულია სემესტრულად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელშიც ფუნდამენტური და კომპლექსური კომპონენტები შეთავაზებულია პროგრამის საწყის ეტაპზე, ხოლო შედარებით სფეციპიკური ხასიათის კომპონენტები - მომდევნო ეტაპებზე. <input type="checkbox"/> სასწავლო სილაბუსები შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტის სტანდარტისა და მოთხოვნის შესაბამისად. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი, საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. 90 კრედიტის შესაბამის საგნებს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომს საჯარო მართველობაში, სტუდენტი გაივლის პროგრამის ძირითადი კრედიტების ფარგლებში, ხოლო დანარჩენი 30 კრედიტის ადების საშუალება აქვს საჯარო მმართველობის ასარჩევი კურსები პროგრამაში დაყოფილია თემატური ბლოკების სახით. გასთავალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობით (69ნ ბრძანება, მინისტრის მე-3 ბრძანება) ტერმინი „ბლოკი“ აღარ გამოიყენება და სასურველია, რომ ეს ტერმინი პროგრამი სტრუქტურულ აღწერილობაში შეიცვალოს.

- პროგრამაში გათვალისწინებულია საჯარო ადმინისტრირებისა და მართვის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლის თემატური საგნები, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს 156 კრედიტს. შეთავაზებული კრედიტების მიუხედავად, სექტორალური პოლიტიკის დონეზე მრავალფეროვნება კიდევ უფრო მეტ გაუმჯობესებას საჭიროებს, რადგან საჯარო მმართველობის საკითხების სექტორალური (განათლება, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა/განვითარება და ხვა) გაშლა გაცილებით სასურველია სტუდენტების თვალსაწიერის კიდევ უფრო მეტად გასაფართოებლად.
- თითოეული სასწავლო კომპონენტის კრედიტების მოცულობა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის დატვირთვა ფასდება კრედიტებით. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა კურსი 6 კრედიტიანია, მათ შორის შეუსაბამოა და დატვირთვის თვალსაზრისით არაერთგვაროვნება ნაკლებად იკვეთება. აქვე, გასათვალისწინებელია ის არგუმენტები, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს უნივერსიტეტი 6 კრედიტიანი საგნების შეთავაზებისას. ეს გამყარებულია სასწავლო კრედიტების დაგეგმვის და პროგრამების ადმინისტრირების სიმარტივით და თითოეული კურსის ფარგლებში მოაზრებული დატვირთვის 6 კრედიტამდე გათვლის შინაარსობრივი და არა ფორმალურ დონეზე დაყვანით, რაც იკვეთება კიდევ სილაბუსებში და დამატებით კითხვებს არ აჩენს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
 - პროგრამის სილაბუსები
 - პროგრამის შედეგების მატრიცა
 - პროგრამის წინაპირობების მატრიცა
 - უნივერსიტეტის ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
 - სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
 - ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
- პროგრამის ინტერდისციპლინური და მრავალფეროვანი კურსების დონეზე წარმოდგენის მიუხედავად სასურველია, რომ მისი სექტორული პერსპექტივა გაცილებით მეტად გაიშალოს და საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სექტორის პოლიტიკების ადმინისტრირების დონეზე იქნეს გამდიდრებული.
 - მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს შორის კურსების ინტეგრირება საუკეთესო პრაქტიკად იქნა აღიარებული, სასურველია, რომ ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის საგნებზე დარეგისტრირებული საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტების ინტერესებიც აქტიურად იყოს გათვალისწინებული და მსგავსი კურსების შემთხვევაში საჯარო სექტორის მენეჯმენტის სპეციფიკა უფრო მეტად იყოს გამოკვეთილი. საჯარო სექტორზე ბიზნესზე ორიენტირებული მოდელირების აქტიური გავრცელების მიუხედავად, თემატიკის შევსება საჯარო სექტორის პერსპექტივით, საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტებისთვის აუცილებელია. აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული

ინტერვიუების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ამ თვალსაზრისით დამატებით გამოყენებულია ცალკეული შემთხვევების ანალიზის პრაქტიკა. თუმცა, სასურველია, რომ ეს ასპექტი ყველა იმ კურსის შემთხვევაში იქნეს მხედველობაში მიღებული, რომელიც ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამის ნაწილია.

სასურველია საჯარო მმართველობის პროგრამის სტრუქტურაში ტერმინის „ბლოკი“, გამოდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონმდებლობით (699 ბრძანება, მინისტრის მე-3 ბრძანება) ტერმინი „ბლოკი“ აღარ გამოიყენება, აცილებული იყოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამის მრავალფეროვნება და ინტერდისციპლინური ხასიათი საუკეთესო პრაქტიკის სახით უნდა აღინიშნოს. აქვე, ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელთა მცდელობა მომავალში პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის მოსაპოვებლად.

საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს სკოლებს შორის კურსების დაინტეგრირების მცდელობები და შესაბამისი ფინანსური გაცვლის სისტემების არსებობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უმეტესწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, საჯარო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების, ისევე როგორც საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის სილაბუსებში გასათვალისწინებელი გახდება რიგი საკითხის დაკონკრეტება.

სილაბუსებში ფიქსირებულია კურსის კურატორის და არა კურსის უშუალო განმახორციელებლის სახელი და გვარი, რაც არამართებულია. აღნიშნული არ ეხება ისეთ სილაბუსებს, სადაც კურატორი და კურსის განმახორციელებელი ერთი და იგივეა და იმ კურსების სილაბუსებთანაა დაკავშირებული, სადაც კურსს რამდენიმე

<p>ლექტორი უძღვება. ამის მიუხედავად, გაცილებით მისაღებია, რომ სილაბუსში კურსის განმახორციელებელი ყველა ლექტორი იყოს მითითებული.</p> <p><input type="checkbox"/> აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ თვითშეფასების ანგარიშში ფიქსირებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, სახელმძღვანელო ლიტერატურა, მათ შორის Pearson-ის, McGraw.Hill-ის მასალები ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში და “ჩემი UG” საშუალებით სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ ელექტრონულად შეუკვეთონ საჭირო მასალა საბიბლიოთეკო ფონდიდან, დადასტურდა სტუდენტებისა და კურდამთავრებულების მიერ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <p><input type="checkbox"/> საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა</p> <p><input type="checkbox"/> პროგრამის სილაბუსები</p> <p><input type="checkbox"/> პროგრამის შედეგების მატრიცა</p> <p><input type="checkbox"/> პროგრამის წინაპირობების მატრიცა</p> <p><input type="checkbox"/> უნივერსიტეტის ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია</p> <p><input type="checkbox"/> სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება</p> <p><input type="checkbox"/> ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p><input type="checkbox"/> სასურველია, რომ სილაბუსებში, სადაც კურსის კურატორის სახელია მხოლოდ ასახული, დაფიქსირდეს კურსის უშუალო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, რათა არ დაირღვეს საავტორო უფლებები და მოხდეს იმ ადამიანური რესურსის იდენტიფიცირება, რომელიც კურსის უშუალო განხორციელებაში იღებს მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ნაწილს აქვს ამ თვალსაზრისით ნაკლი, სასურველია, რომ ეს პრაქტიკა აქტიურად დამკვიდრდეს და ელექტრონული ბაზების მიღმა, თავად სილაბუსშივე აისახოს ლექტორების ვინაობა.</p> <p><input type="checkbox"/> სასურველია, რომ საჯარო პროექტების მონიტორინგისა და შეფასების კურსის ფარგლებში მოხდეს გავლენის ექსპერიმენტული და ქვაზი-ექსპერიმენტული მოდელების ინტეგრირება.</p> <p><input type="checkbox"/> სასურველია, რომ საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის ფარგლებში მოხდეს 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #629 დადგენილებით „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ საფუძველზე დამტკიცებული სახელმძღვანელო და შესაბამისი დანართები. მიუხედავად იმისა, რომ რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამაში ეს ნაკლებად იქნებოდა ასახული, სასურველია, რომ ეს რჩევა მომავლისთვის იყოს გათვალისწინებული.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სტუდენტებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ სტუდენტური კლუბები, მოამზადონ მათი იდეების შესაბამისი პროექტი და მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა სოციალური და ბიზნეს წამოწყების მიზნით. ამ მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს მულტიფუნქციური სივრცე „Startupfactory“.
- ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის (RCAS) ფარგლებში სტუდენტები ჩართული არიან საჯარო ადმინისტრირების რეფორმის ფარგლებში გაეროს მიერ დაფინანსებული პროექტების შეფასების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი, არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში აქტივობების კვლევას, ანალიზს და შეფასებას. სტუდენტები ერთვებიან სავსელ სამუშაოებში, კვლევის დიზაინის შედგენასა და შედეგების ანალიზის პროცესში. ცენტრის ფარგლებში იგეგმება საჯარო მმართველობის მიმართულებით სასწავლო ქეისების შემუშავების გააქტიურება.
- დარგში არსებული უახლესი საკითხების შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სემინარები და ვორქშოფები, ეწყობა კონფერენციები, სტუდენტური კლუბები და სხვა.
- პროგრამის კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია ძირითადი კურსი „კვლევის მეთოდები საჯარო ადმინისტრირებაში“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ასრულებენ კვლევით პროექტს, რაც მათ გამუმუშავებს კვლევის განხორციელების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს 30 კრედიტის მოცულობის კვლევითი ნაშრომის მომზადებასა და დაცვას საჯარო ადმინისტრირებაში.
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საჯარო მმართველობის პროგრამას სტუდენტთა პრაქტიკაზე დასწრებისა და ხელშეწყობის მხარდაჭერი სისტემები გააჩნია, რაც წარმოდგენილია პრაქტიკის განმახორციელებელ აგენტებთან გაფორმებული მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით. პრაქტიკის მიზნები, ხანგრძლივობა და შედეგები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში. თუმცა, დამსაქმებლებთან შეხვედრამ დაადასტურა, რომ ამ პროცესში რთულდება ზუსტი რაოდენობების მითითება, განსაკუთრებით კი, როცა საქმე საჯარო უწყებებში პრაქტიკის გავლას ეხება, შეულებელია, ვინაიდან სტაჟირების პროგრამა ითვალისწინებს საერთო ნაციონალურ შერჩევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის დებულება

<input type="checkbox"/> სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის დებულება <input type="checkbox"/> ინფორმაცია სტუდენტურ კონფერენციებთან, პროექტებთან, სემინარებთან დაკავშირებით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <input type="checkbox"/> გასათვალისწინებელია პროგრამის ხელმძღვანელთა მცდელობა კვლევითი პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, სკოლის ფარგლებში, სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების მიმართულების გააქტიურების მიზნით 2019 წლიდან ამოქმედდა ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი (Research Center for Administrative Sciences - RCAS), რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო მმართველობის და ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით ადმინისტრაციული და გამოყენებითი კვლევების წარმოება, სტუდენტების კვლევით დაინტერესება და მათი მაქსიმალური ჩართულობის წახალისებაა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა უმეტესწილად ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. <input type="checkbox"/> საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების და ინდივიდუალური კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები. <input type="checkbox"/> სწავლების მეთოდებისა და სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება ძირითადი ორი მაჩვენებლის მიხედვით ხორციელდება. ესენია: სტუდენტის კვლევის ანგარიში და აკადემიური პერსონალის კვლევის ანგარიში, რომელიც ასახავს, თუ რამდენად ეფექტურად ხდება აღნიშნული მეთოდების გამოყენება. აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს თითოეულ სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, რომელიც გაწერილია მოცემული სასწავლო კურსის სილაბუსში და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან. <input type="checkbox"/> სწავლების მეთოდების განვითარების მიმართულებით საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია 2 საერთაშორისო პროექტში
--

<p>(Modern Competences of Academic Teachers - the Key to Modern HEI (MOCAT); Erasmus + პროექტი Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China (STAR)), რაც ემსახურება ამ მიმართულებით უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის უნარების კიდევ უფრო მეტ გაუმჯობესებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა <input type="checkbox"/> პროგრამის სილაბუსები <input type="checkbox"/> საქართველოს უნივერსიტეტის სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო <input type="checkbox"/> სტუდენტების კვლევის ანგარიში <input type="checkbox"/> აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვასკვნით, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე ეტაპიანი შეფასება, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა ასევე, კვლევისა და კომუნიკაციის უნარის განმავითარებელი რეფერატი/პროექტი და მისი პრეზენტაცია / ალტერნატიული დავალება. თითოეულ ეტაპზე შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ან მათი ერთობლიობა, რომელიც ზომავს სწავლის შედეგების მიღწევადობას. <input type="checkbox"/> უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას. <input type="checkbox"/> სტუდენტებთან კომუნიკაცია საკმაოდ გამართულადაა დაგეგმილი. კერძოდ, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშსა და სასაწავლო გეგმის ფარგლებშია გაწერილი, ინფორმაციას შეფასების შესახებ სტუდენტები უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის my.ug.edu.ge-ის საშუალებით. თვითშეფასების ანგარიშში

<p>განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ლექტორის მიერ დეტალური უკუკავშირის გაწევის აუცილებლობასა და პრაქტიკაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სტუდენტთა შეფასების სისტემის უკმაყოფილების შემთხვევაში არსებობს შესაბამისი პროცედურები დეტალურად გაწერილი საუნივერსიტეტო დებულებაში, რაც აქტიურად დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შემთხვევაშიც. <input type="checkbox"/> სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ ფასდება კვლევის კეთილსინდისიერება პლაგიატის პროგრამის საშუალებით. ანალოგიური სიტემა მოქმედებს კურსების ფარგლებში განხორციელებულ ანალიტიკური დოკუმენტების გადამოწმების შემთხვევაში. <input type="checkbox"/> სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ კომისიის სხდომაზე. <input type="checkbox"/> როგორც ეს აკრედიტაციის ექსპერტთა კომისიის ვიზიტის დროს გამოიკვეთა, შეფასების ფორმების უნიფიცირებულ მიდგომაზე უნივერსიტეტმა უარი თქვა და შესაბამისად, სილაბუსების შემთხვევაში აქტიურად ხორციელდება კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე დაზუსტებებისა და კორექტირების კეთება შეფასების მეთოდებისა და ფორმების მეტად დასაკონკრეტებლად.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა <input type="checkbox"/> შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები <input type="checkbox"/> აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის ანგარიში <input type="checkbox"/> სტუდენტების კვლევის ანგარიში <input type="checkbox"/> საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება <input type="checkbox"/> მართვის ელექტრონული სისტემა. http://my.ug.edu.ge/login.php http://online.ug.edu.ge/login.php
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს პროგრამის ხელმძღვანელთა მცდელობა მოახდინონ სილაბუსებში დღემდარსებული უნიფიცირებული შეფასების სისტემის შეცვლა და თითოეული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმების განსაზღვრა. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს პროცესი მომავალშიც გავრცელდება და ყველა კურსში აისახება.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ჩარიცხვისთანავე საორიენტაციო დღეების ფარგლებში იღებს უნივერსიტეტისგან აუცილებელ და დეტალურ ინფორმაციას სასწავლო პროცესის რეგულაციების, დაგეგმვისა და თვითადმინისტრირების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, სასწავლო პერსონალთან და პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები ინდივიდუალურად ხვდებიან ყველა სტუდენტს საორიენტაციო აკადემიური გეგმის შესადგენად. სტუდენტებს უტარდებათ კონსულტაციები საუნივერსიტეტო სივრცეში ადაპტაციისა და ინტეგრირების მიზნით. აღნიშნული კონსულტაციების ჩატარებაში ჩართულნი არიან როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური თანამშრომლები, ასევე შესაბამისი მიმართულების დეპარტამენტის უფროსები და პროგრამის ხელმძღვანელები.
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოა, ამასთან უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, რომელიც დაყოფილია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის მიხედვით. აღნიშნული სამსახური სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს კარგად გამართული ელექტრონული - პლატფორმა „ჩემი UG“, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწრაფად და მარტივად გააკეთონ განაცხადი საჭირო დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებით ან მიმართონ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს, IT დეპარტამენტს, საფინანსო განყოფილებას, სოციალურ საკითხთა კომისიას, სკოლას და სხვა. შინაგანაწესის მიხედვით ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეტყობინებები და განცხადებები შეამოწმოს ყოველდღიურად. ასევე, აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით

სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სასწავლო ლიტერატურის, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების ყოველკვირეული შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაამყარონ კომუნიკაცია ლექტორებთან და დისტანციურ რეჟიმში მიიღონ კონსულტაცია. ამასთან, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებობს ონლაინ კონსულტაციის სისტემა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერ კითხვაზე პასუხის სწრაფად მიღება.

- საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელშიც დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწეობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. კარიერულ სერვისებთან დაკავშირებით გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთვრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტიდან ელექტრონულ ფოსტაზე სისტემატიურად იღებენ ინფორმაციას დასაქმების ფორუმებისა და ექსკლუზიური ვაკანსიების შესახებ.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ, ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურება, რომ უნივერსიტეტი აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებს, სემინარებს, ტრენინგებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს. ასევე, სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან სტუდენტური კლუბები ან საკუთარი იდეის განხორციელებისთვის მოიპოვენ მხარდაჭერა პროექტ “StartupFactory” -ის ფარგლებში. უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი გეგმავს და ახორციელებს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს, თუმცა ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მონაწილეობა არ აქვთ მიღებული ადგილობრივ ან საერთაშორისო პროექტებსა და სტუდენტურ კონფერენციებში, რის მიზეზადაც მათ დასაქმების გამო დროს არ ქონდა დაასახელეს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, პროგრამის სტუდენტებს გაცვლით პროექტებში მონაწილეობა არ მიუღიათ. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბიზნესია და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე დაარსდა ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი, რომლის ფარგლებშიც შეეცდებიან კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის წახალისებას, ასევე სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორის სამეცნიერო კვლევით პროექტში მონაწილეობის მიღება.
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტები ელექტრონული პლატფორმის „ჩემი UG“-ის მეშვეობით ყოველი სემესტრის დასასრულს მონაწილეობას იღებენ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების შესახებ ანონიმურ კვლევაში, კვლევის შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატიურად ამცნობს ლექტორებს, რათა საჭიროებისამებრ გაითვალისწინონ სტუდენტების აზრი. ასევე ლექტორება აღნიშნეს, რომ თავის მხრივ ისინიც ცდილობენ უკუკავშირის მისაღებად ყოველსემესტრულად სტუდენტებს თავადაც ჩაუტარონ გამოკითხვა.
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის დატვირთვასა და ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუების დროს პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთვრებულებს ჰქონდათ ინფორმაცია

ლექტორების საკონსულტაციო საათების შესახებ, სასწავლო კურსების სილაბუსებში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია აღნიშნული არ იყო, მაგრამ სტუდენტების თქმით, სასწავლო პროცესის დროს აღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტში საინფორმაციო დაფაზეა განთავსებული და ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სემესტრში რამდენჯერმე პირადად ხვდება სტუდენტებს, ერთი მხრივ რათა მათი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს პროგრამის განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, დაეხმაროს სტუდენტებს პრობლემური საკითხების აღმოფხვრაში, ამასთან სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტი მათ შესაძლებლობას აძლევს სწავლის საფასური ათ ნაწილად გადაიხადონ, ასევე საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სალექციო პროცესი სადამოს საათებში მიმდინარეობს, რათა სტუდენტებს დასაქმებაში ხელი არ შეეშალოთ. ამასთან, ინდივიდუალური მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად სტუდენტების კვლევაში გათვალისწინებულია აკადემიური მხარდაჭერის შეფასებასთან დაკავშირებული კითხვები.

- პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სამაგისტრო სტიპენდიების გამოყენების შესაძლებლობა ნაკლებად დგება. იმ პრაქტიკიდან გამომდინარე, რომ სტიპენდიები ვრცელდება სრული სემესტრული დატვირთვის პირობებში, მაშინ როცა სტუდენტებს ურჩევნიათ საკუთარი გრაფიკიდან გამომდინარე, 3 საგანზე მეტად არ დაიტვირთონ თავი, სასტიპენდიო სისტემის ამუშავება, როგორც წესი, ვერ ხერხდება. თუმცა, წახალისებისა და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, ეს დამატებითი მოტივატორი შეიძლება გახდეს სტუდენტებისთვის სრული დატვირთვით, მათ შორის სამეცნიერო პროექტებსა და აქტივობებში, მონაწილეობის მისაღებად. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს პროცესში სასტიპენდიო მხარდაჭერის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება არ დადასტურდა.
- მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 მარტის, ოქმის №08-12 მიხედვით);
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი (დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 ოქტომბრის # 281/12 ბრძანებით, ცვლილება №3 დირექტორის 2014 წლის 30 სექტემბრის №209/14 ბრძანებით);
- ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის დებულება;
- სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის დებულება (დამტკიცებულია პარტნიორთა კრების 2016 წლის პირველი ივნისის 4/16 ოქმით);
- შესაბამისი სამსახებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;
- დაგეგმილი და განხორციელებული სტუდენტური პროექტების, სემინარების, საჯარო ლექციებისა და კონფერენციების მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

<input type="checkbox"/> უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> კურიკულუმს მიღმა მაგისტრატურის სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა დანერგოს სამაგისტრო სტიპენდია, რომლის მოპოვებაც დამოკიდებული იქნება, როგორც აკადემიურ მიღწევებზე, ასევე კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობაზე (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება და ა.შ); <input type="checkbox"/> სასურველია საჯარო მმართველოს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს კურიკულუმში გაწერილი პრაქტიკული კურსის მიზნებისა და პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები ინდივიდუალურად ხვდებიან ყველა სტუდენტს საორიენტაციო აკადემიური გეგმის შესადგენად. <input type="checkbox"/> სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით ხელმძღვანელობა სახეზეა და იკვეთება საჯარო მმართველობის პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას სტუდენტზე ორიენტირებულ მომსახურების მაღალ ხარისხს, საუნივერსიტეტო გადასახადის ათ ნაწილად გაყოფის პრაქტიკას, კონსულტირებისა და მხარდაჭერის ინსტრუმენტებსა და შესაბამისი ადამიანური რესურსების (სწავლების მენეჯერის და ასისტენტების) უზრუნველყოფას.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში “სამაგისტრო ნაშრომი საჯარო მმართველობაში“ სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება ერთი მხრივ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით, მათი კვლევითი პროექტებითა და პუბლიკაციებით, ხოლო მეორე მხრივ სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის პრიცედურით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი წინასწარ აქვეყნებს საკვლევ თემატიკას, რის შემდეგაც

სტუდენტი მისთვის საინტერესო კვლევითი მიმართულების მიხედვით ირჩევს ხელმძღვანელს შემდეგ კი აკონკრეტებს სამაგისტრო კვლევის თემას. აღნიშნული პროცედურა გამორიცხავს, რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელს ნაშრომის თემატიკის შესაბამისი კვალიფიკაცია არ ჰქონდეს.

- საქართველოს უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება საბაკალავრო და სამაგისტრო დებულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას. აღნიშნულ კომპონენტზე მუშაობისას სტუდენტს ეხმარება კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და საჯარო მმართველობის ან მომიჯნავე მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება.
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულების მიხედვით, სკოლის საბჭოს მიერ იქმნება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო, რომელიც შედგება ნაშრომის ხელმძღვანელის, ექსპერტისა და საბჭოს თავჯდომარისგან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ექსპერტის სხვა უნივერსიტეტიდან მოწვევა. დებულების მიხედვით ხელმძღვანელი მაგისტრანტს მთელი სემესტრის განმავლობაში რეგულარულად უწევს კონსულტაციას, როგორც კვლევის შინაარსის, ისე კვლევის დიზაინის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც იმართება მინიმუმ ათი შეხვედრა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ტექნიკურ-ადმინისტრაციულ მხარეს კურირებს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი, რომელიც თავის მხრივს კონსულტაციებს უტარებს მაგისტრანტებს. უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი მიმდინარეობს ოთხ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემის შერჩევა, შემდეგ ნაშრომის კონცეფციის წარდგენა, მესამე ეტაპზე სტუდენტი ნაშრომის დაცვაზე წინასწარ განაცხადს აკეთებს, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხემისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.
- სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მათი ხარისხი დამაკმაყოფილებელი არაა, ვინაიდან არ ადასტურებს დამოუკიდებელი კვლევის მიმართ წაყენებულ სტანდარტებს. მათი ანალიტიკური პოტენციალი დაბალია და კვლევის მიგნებების წილი, შესაბამისად, მწირად არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ, რეკომენდირებულია, სტუდენტებისათვის გაწერილი იყოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაერთიანებული ინსტრუქციის სახითაა მოცემული. ამავე დროს, სასურველია, რომ გაცილებით მკაცრად კონტროლდებოდეს ერთიანი სტანდარტის დაცვა. ამ მიზნით შესაძლებელია პროგრამის კურიკულუმს ცალკე, უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე დაემატოს სამაგისტრო კვლევის დიზაინის კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- მაგისტრანტების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- გაიმიჯნოს საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება და სტუდენტებისათვის გაწერილი იყოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია და შესაბამისი მოთხოვნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის კურიკულუმს ცალკე, უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე დაემატოს სამაგისტრო კვლევის დიზაინის კურსი.
- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. აქვე, მნიშვნელოვანია გაცილებით მკაცრად კონტროლდებოდეს ერთიანი სტანდარტის დაცვა ამ პროცესში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული ერთეულების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც აერთიანებს, როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალს და მკვლევარებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობით.
- პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ არის ჩართული 3 პროფესორი 9 ასოცირებული პროფესორი და 1 მკვლევარი ამათგან 3 პროფესორი და 7 ასოცირებული პროფესორი არის აფილირებული, ამასთანავე პროგრამის განხორციელებაში ასევე უშუალოდ მონაწილეობს 1 უცხოელი პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 27-ს. ბალანსი პროგრამაში ჩართულ აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას სფეროთა გადანაწილების ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.
- პროგრამის ორივე ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საქროებებთან, რაც დასტურდება პროგრამაზე თანდართული მათი პირადი საქმეებით.
- პროგრამის ხელმძღვანელი არის ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი და საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორი 20 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილებით, როგორც საგანმანათლებლო ასევე საერთაშორისო და კერძო სექტორებში. ამასთანავე ეკა გეგეშიძე არის რამდენიმე ნათარგმნი წიგნის სამეცნიერო რედაქტორი, ეკონომიკური სასწავლო და აკადემიური პროგრამების, წიგნების, სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევითი სტატიების ავტორი/თანავტორი მათ შორის პროგრამის - მეწარმეობა თანავტორი, რაც ETF-ის მიერ აღიარებულ იქნა როგორც საუკეთესო პრაქტიკა.
- პროგრამის თანახელმძღვანელს მოპოვებული აქვს აღმოსავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი, 16 წელზე მეტია მუშაობს საჯარო სამსახურში, არასამთავრობო, საერთაშორისო და კვლევით ორგანიზაციებში, არის ღია მმართველობის პარტნიორობის დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის მკვლევარი ეროვნულ დონეზე (Independent Research Mechanism

<p>- IRM - National Researcher for Georgia) და უშუალოდ მონაწილეობს საჯარო მმართველობის პროგრამის განხორციელებაში.</p> <p><input type="checkbox"/> საჯარო ადმინისტრირების პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ არის ჩართული ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის, ბიბლიოთეკის, ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურებსა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრში მომუშავე შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p><input type="checkbox"/> აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები</p> <p><input type="checkbox"/> პირადი საქმეები</p> <p><input type="checkbox"/> სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება</p> <p><input type="checkbox"/> სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p><input type="checkbox"/> როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო, პროგრამის პერსონალის შეფასება ხდება ორ დონეზე, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტები ელექტრონულად ავსებენ პერსონალის და პროგრამის შეფასების კითხვარს. განზოგადებული შედეგები, განიხილება სკოლის საბჭოს სხდომაზე, პერსონალის კონფიდენციალურობის დაცვით. პროგრამის ხელმძღვანელები პერსონალს ასევე აცნობენ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს. პერსონალის შეფასება ხდება ასევე ადმინისტრაციის მხრიდან, შეფასების შედეგებისა და შესაბამისი რეკომენდაციების განხილვა ხდება როგორც პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ასევე შესაბამის საფაკულტეტო და აკადემიურ საბჭოებზე.</p>

- ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს შორის შეხვედრები არ არის ხშირი, კარგი იქნებოდა პროგრამის ადმინისტრაციას ამ მიმართულებით მუშაობა გაეძლიერებინა, რადგან პროგრამაში ჩართული პერსონალის ხშირი შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნებისათვის უკეთ წარმართავს პროცესს და პროგრამის წინაშე სწავლების პროცესის გადასახედიდან მდგარ საკითხებს უფრო მრავალმხრივი კუთხით წარმოაჩენს.
- რაც შეეხება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც ვიზიტის განხორციელებისას დადგინდა, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად გაწერილია ის ვალდებულებები, რომლებიც უნდა იქნას შესრულებული აკადემიური პერსონალის მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, რაშიც სხვებს შორის ასევე იგულისხმება კვლევის წარმოება, სტატიების გამოქვეყნება, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა.
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტში შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ითავსებს, როგორც პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს ასევე “კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის” რედაქციას.
- ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია და მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და პუბლიკაციების დაფინანსების სქემები. სასურველია რომ ასეთი დაფინანსების სქემების შესახებ ინფორმაცია უფრო აქტიურად იქნას გაზიარებული დაინტერესებული მხარეებისათვის.
- მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს, როგორც აკადემიური პერსონალისთვის პრემიის გაცემის მექანიზმი, ასევე დაინერგა “სამეცნიერო ოთხშაბათები”, რაც სამეცნიერო პუბლიკაციებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე უახლესი კვლევების შესახებ არამარტო სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ინფორმირებას ითვალისწინებს არამედ ღია საზოგადოების ფართო წრეებისთვისაც და არსებითად უწყობს ხელს აქტიური დისკუსიების წარმართვასა და ახალი იდეების ფორმირებას, რაც არსებითად უნდა ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად.
- აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის განხორციელებულ მნიშვნელოვან მიღწევად ასევე შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ 2018 წელს მოპოვებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საჯარო ადმინისტრირების სკოლების პროფესიული ასოციაციის NISPAcee-ის ინსტიტუციური წევრის სტატუსი როგორც პირველი ნაბიჯი საჯარო ადმინისტრირების ევროპული სააკრედიტაციო ასოციაციის EAPAA-ის აკრედიტაციის პირველი საფეხურის - შესაბამისობის მოპოვების პროცესში.
- საგულისხმოა, რომ ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა არის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის CEEMAN ინსტიტუციური წევრი, რაც შესაძლებლობას იძლევა პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში.
- აღსანიშნავია, რომ პროგრამის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრთან აქტიური მუშაობით აწარმოებს გამოყენებით კვლევებს საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით, მათ შორის უცხოელი პროფესორებისა და პროგრამის სტუდენტების მონაწილეობით.

<input type="checkbox"/> საგულისხმოა, რომ პროგრამის განმახორციელებელი სკოლა ჩართულია საერთაშორისო პროექტში Modern Competences of Academic Teachers – the Key to Modern HEI (MOCAT) რომელიც ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადებას და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას პოლონეთის, იტალიის, ისლანდიისა და სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მონაწილეობა Erasmus + პროექტში Sustainable learner-centered Teaching – Advanced Recourse For Goergia and China (STAR), რამაც ხელი შეუწყო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გაძლიერებას უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ინტევიუები აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან <input type="checkbox"/> თვითშეფასების ანგარიში <input type="checkbox"/> სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება <input type="checkbox"/> სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი <input type="checkbox"/> ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის დებულება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სასურველია, რომ ინფორმაცია პროფესიული განვითარების ხელშემწყობი დაფინანსების სქემების შესახებ უფრო აქტიურად იქნას გაზიარებული დაინტერესებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის. <input type="checkbox"/> სასურველია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს შორის შეხვედრები მეტი სიხშირით წარიმართოს და კარგი იქნებოდა პროგრამის ადმინისტრაციას ამ მიმართულებით მუშაობა გაეძლიერებინა, რადგან პროგრამაში ჩართული პერსონალის ხშირი შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნებისათვის უკეთ წარმართავს პროცესს და პროგრამის წინაშე სწავლების პროცესის გადასახედიდან მდგარ საკითხებს უფრო მრავალმხრივი კუთხით წარმოაჩენს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> უნივერსიტეტში დანერგილი “სამეცნიერო ოთხშაბათები”, რაც სამეცნიერო პუბლიკაციებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე უახლესი კვლევების შესახებ სფეროში მოდერაჟე მეცნიერების, პრაქტიკოსებისა და საზოგადოების ფართო წრეების ინფორმირებას ითვალისწინებს არსებითად უნდა ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად.
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და გამოთხოვილმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება უზრუნველყოფილია როგორც კეთილმოწყობილი მცირე და დიდი ზომის აუდიტორიებით, ასევე შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და შეუფერხებელი ინტერნეტმომრავებით. <input type="checkbox"/> უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურა, ისევე როგორც უზრუნველყოფილია წვდომა ისეთ ელექტრონულ ბაზებთან როგორებიცაა: Heinonline, Jstore, Scopus, Web of Science. <input type="checkbox"/> როგორც ბიბლიოთეკის მენეჯერთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, უნივერსიტეტმა ადვილად გამოიხატა გამოსავალი დღევანდელი გამოწვევის საპასუხოდ და სტუდენტებს სთავაზობს იმ წიგნების შესაბამისი თავების დასკანერებული ელექტრონული ფაილების გადაგზავნას, რაც მათ სჭირდებათ სასწავლო პროცესისა და შესაბამისი კვლევების შეუფერხებლად მიმდინარეებისათვის, რაც უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის ძალიან კარგი განვითარების ტენდენციად. <input type="checkbox"/> სტუდენტებს წვდომა აქვთ სხვადასხვა რესურსზე. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს Startup factory, რომელიც უზრუნველყოფს იდეების წახალისებას სოციალური მეწარმეობისა და ბიზნესის კუთხით, რომლის ფარგლებშიც ხდება სპიკერების მოწვევა და სემინარების ორგანიზება, ისევე როგორც სტუდენტების ჩართვა მცირე კვლევებში. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებას.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები; <input type="checkbox"/> ბიბლიოთეკის აუდიოვიზუალური ტური; <input type="checkbox"/> პროგრამის შემოწმების დროს გამოთხოვილი სასწავლო მასალები; <input type="checkbox"/> პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> უნივერსიტეტმა ადვილად გამოიხატა გამოსავალი დღევანდელი გამოწვევის საპასუხოდ და სტუდენტებს სთავაზობს იმ წიგნების შესაბამისი თავების დასკანერებული ელექტრონული ფაილების გადაგზავნას, რაც მათ სჭირდებათ სასწავლო პროცესისა და შესაბამისი კვლევების შეუფერხებლად მიმდინარეებისათვის, რაც უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის ძალიან კარგი განვითარების ტენდენციად.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე თანდართული ბიუჯეტი და ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტებში გათვალისწინებულია დამატებითი თანხები საჭიროებისამებრ პროგრამის დასაფინანსებლად, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები;

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამის პერიოდული შეფასება მუდმივი გაუმჯობესებისა და დასაქმების ბაზარზე კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. <input type="checkbox"/> პროგრამის პირდაპირი ხარისხის შეფასება უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გავლილი კურსების და განხორციელებული კვლევითი თუ პრაქტიკული კომპონენტების შედეგების გაზომვას და ანალიზს პროგრამის შედეგებთან შედარების მიზნებისათვის, რათა დადგინდეს კომპეტენციების უკეთ გამოუმუშავებისთვის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები და შემუშავებულ იქნას შესაბამისი რეკომენდაციები. <input type="checkbox"/> სტუდენტები ასევე მონაწილეობენ პირდაპირი ხარისხის შეფასებაში სასწავლო კურსით და პროგრამით კმაყოფილების კვლევისა და სხვადასხვა თვისებრივი და რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენებით მონაცემების შეგროვებისა და სასწავლო კომპონენტით კმაყოფილების, სწავლების მეთოდების ეფექტურობისა თუ სასწავლო ლიტერატურით კმაყოფილების დონის დასადგენად. <input type="checkbox"/> ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები პოტენციური დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეები. ინტერვიუებში მონაწილე სტუდენტებმა და დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათი გამოკითხვის მასალებისა და მოსაზრებების გაანალიზების საფუძველზე პროგრამის კურიკულუმში აისახა შესაბამისი ცვლილებები.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები <input type="checkbox"/> ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია <input type="checkbox"/> ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინტრუქცია <input type="checkbox"/> პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვა და სხვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. <input type="checkbox"/> 2015 წელს პროგრამის აკრედიტაციის პროცესში აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რჩევები და რეკომენდაციები არსებითად იქნა გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისათვის. <input type="checkbox"/> აღსანიშნავია, რომ პროგრამის გარე შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ასევე იყენებს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში არსებულ თანამშრომლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2 საერთაშორისო პროექტი: 1) Modern Competences of Academic Teachers – the Key to Modern HEI (MOCAT) და 2) Sustainable learner-centered Teaching – Advanced Recourse For Georgia and China (STAR). აღნიშნული პროექტების ფარგლებში უცხოელ ექსპერტებთან გამართული კონსულტაციების პირობებში მოხდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გაძლიერება და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა პოლონეთის, იტალიის, ისლანდიისა და სხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით. 	
მტკიცებულებები/ინდიკატორები	
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები <input type="checkbox"/> ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია <input type="checkbox"/> ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინტრუქცია <input type="checkbox"/> პროგრამის თვითშეფასების ანგარიში 	
რეკომენდაციები:	
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)	
შეფასება	
<p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>	

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და შეფასების ინსტრუქცია განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის მექანიზმებს, რაც მეტ წილად გამოიხატება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით პროგრამის შემუშავების/ცვლილებების განხორციელებისას მათი მოსაზრებების გასათვალისწინებლად.
- ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტევიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე.
- ამასვე მიუთითებს პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქციის მიხედვით განხორციელებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრის კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან/პრაქტიკოსებთან ჩატარებული ინტერვიუები, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამის გაუმჯობესება, რათა უკეთ დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები
- ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნანა მაჭარაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ნინო ფარსადანაშვილი



ნიკა გიგაური



